დილის გაზეთი 5
9 დეკემბერი, ორშაბათი, 2002 წელი

მულტიეთნიკური „აქტუალური სიზმრები“ ქარვასლაში

თამარ კიკნაველიძე

სოციალურად — ინტერნაციონალური, პოლიტიკურად — პლურალისტური, ესთეტიკურად — სინთეზური საქართველოს „აქტუალური სიზმრებით“ შეპყრობილი ავტორები ქარვასლას სტუმრობენ. ექსპერიმენტულ ექსპოზიციად მოაზრებული მულტიეთნიკური სივრცე ქართულ მრავალეროვან კულტურულ ფენომენს წარმოაჩენს. წარმოდგენილი 16 შემოქმედი სახავს ვიზუალური ხელოვნების ტენდენციებს, სადაც ყველაფრის სინთეზი რაფინირებულ თამაშს წააგავს და მოდერნიზებული ფორმაც მხოლოდ ქვეტექსტად მოიაზრებს შინაარსს, ანუ იდეას. აღსანიშნავია, რომ დროულ პროცესად მიჩნეული მულტიეთნიკური „აქტუალური სიზმრები“ მხოლოდ დღევანდელი კულტურული რეალობიდან გამომდინარე განიხილება.

ექსპოზიცია ფონდ „ღია საზოგადოება — საქართველოს“ მიერ არის დაფინანსებული. ამავე ფონდმა უზრუნველყო მაღალპოლიგრაფიული კატალოგის გამოცემაც. იდეა და პროექტი ეკუთვნით: ალექსანდრა გაბუნიას, ნინო გუჯაბიძეს, ილიკო ზაუტაშვილს. მათ მიერ შედგენილი ტექსტი დართული აქვს კატალოგს, სადაც ზედმიწევნითაა ახსნილი და გაცხადებული „აქტუალური სიზმრების“ კონცეფცია: — „ბოლო წლების პოლიტიკურმა თუ სოციალურმა ძვრებმა, მათმა თანმდევმა, მიგრაციულმა და სხვა დესტრუქციულმა პროცესებმა საგრძნობი ზიანი მიაყენეს საქართველოში საუკუნეთა განმავლობაში არსებულ მულტიეთნიკურ კულტურულ ინფრასტრუქტურას. პოსტსაბჭოურ სივრცეში, კონფრონტაციული რეალობის ფონზე, „აქტუალური სიზმრების“ კონცეფციის თავისებურება და კომუნიკაციური თავისუფლება დროულ და თანამედროვეობასთან შესატყვის კულტურულ-ინტეგრაციულ პროცესად მოიაზრება. პროექტში მონაწილე მხატვართა ჯგუფს აერთიანებს, როგორც გეოგრაფიული იდენტურობის განცდა, ისე საერთო ისტორიული თავგადასავალი. თემატური ერთიანობის მიუხედავად, წარმოდგენილი მხატვრების განსხვავებულმა შემოქმედებითმა სპექტრმა და სპეციფიკური ხედვის ვრცელმა დიაპაზონმა ექსპოზიციის ექსპერიმენტული სახე განსაზღვრა. სათაურში — „აქტუალური სიზმრები“ ფიგურირებს ერთი შეხედვით განსხვავებული ცნებები. ისინი, არსებული პრობლემატიკის კონტექსტში, ერთმანეთს ავსებენ. „სიზმრები“ კონცეფციის საერთო ფორმატს აქტუალური სოციალურ-პოლიტიკური გავლენისგან ათავისუფლებს და მხატვარს პირადი, ინტიმური ქმედების ფართო არეალს უტოვებს. „აქტუალური სიზმრები“ არა ისტორიულ ჭრილში, არამედ დღევანდელი კულტურული რეალობიდან გამომდინარე განიხილება“.

ნინო გუჯაბიძე

ზურაბ ნაცვლიშვილი

„აქტუალური სიზმრებით“, ანუ შემოქმედებითი თავისუფლებით შეპყრობილი ავტორების უმრავლესობას სახვითი ხელოვნების მოყვარულები კარგად იცნობენ. აღსანიშნავია, რომ ექსპოზიციაში წარმოდგენილი თანამედროვე ტექნოლოგიებით შესრულებული ნიმუშები უახლესია. კონცეპტუალური ციფრული გრაფიკა, ფოტო-გრაფიკა, კომპიუტერული გრაფიკა, ინსტალაცია თუ სუფთა სახით მოწოდებული გრაფიკული ექსპონატები სინთეზში თანაარსებობენ. ერთი შეხედვით, „აქტუალური სიზმრები“ გზავნილია მულტიეთნიკურ სივრცეში, სადაც საქართველოს ისტორიულ-კულტურული განვითარების დაუმთავრებელი ბიოგრაფიაა მოთხრობილი.

იდეისა და პროექტის ერთ-ერთი ავტორი ნინო გუჯაბიძე: — ფონდ „ღია საზოგადოება — საქართველოს“ მიერ დაფინანსებულმა პროექტმა საშუალება მოგვცა, რომ სხვადასხვა ეროვნების, რელიგიური მრწამსისა თუ ადათის მატარებელ საინტერესო ავტორთა ერთობლივი ექსპოზიციით, ისტორიულად არსებული და შემოტანილი ტენდენციების ფონზე, ქართული კულტურის ინდივიდუალურობა გვეჩვენებინა. საქართველოში ამ ადამიანთა თანაარსებობა ორგანულია. პოლიტიკურ-სიციალურმა პრობლემებმა დიდი ზიანი მიაყენა მულტიკულტურულ ინფრასტრუქტურას და დღევანდელი „აქტუალური სიზმარი“ თანადროულია ამ სივრცეში. წარმოდგენილ ავტორებთან შემოქმედებითი ურთიერთობა ადრეც გვქონდა. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ამ გამოფენაზე ნაკლებად ცნობილმა საინტერესო სახელებმაც გაიჟღერეს. ექსპონირებული ნიმუშები უახლესია და საგანგებოდ ამ პროექტისთვის არის შექმნილი და შერჩეული“.

ზურაბ ნაცვლიშვილის კონცეპტუალური ციფრული გრაფიკის ექსპონირებული ნიმუშები

გამოფენის ერთ-ერთი მონაწილე და გამოფენის კატალოგის დიზაინერი, მხატვარი ზურაბ ნაცვლიშვილი:

— ჩამკვდარი კულტურული ცხოვრების ფონზე, ყოველი ახალი გამოფენა თუ ნებისმიერი სხვა პოზიტიური მოვლენა მისასალმებელი და სასიხარულოა. ჩემ მიერ ექსპოზიციაზე წარმოდგენილი კონცეპტუალური ნამუშევრები, შესრულებული ციფრული გრაფიკის ტექნიკით, 2000- 2002 წლებშია შესრულებული. ეს არ არის პლაკატი, ჩვეულებრივი გაგებით. უბრალოდ, ვიყენებ პლაკატის ფორმატსა და ტექნოლოგიას, რადგან ეს არის ჩემი იდეების გამოხატვის ყველაზე იაფი და ხელმისაწვდომი საშუალება ამ ქვეყანაში. ეს უფრო იაფია, ვიდრე ის მაღალი ტექნოლოგიები, რომლის გამოყენებაც მინდა ჩემი შემოქმედებითი მიზნებისათვის და, რომლებსაც, ფინანსური პრობლემების გამო, ვერ ვიყენებ. ვცდილობ, გამოვნახო ფინანსური სახსრები, რათა სამომავლოდ სხვა მიმართულებებზე და ტექნოლოგიებზე ვიმუშაო. მსგავსი ექსპოზიციები მხატვარს შემოქმედებით სტიმულს აძლევს.

აღსანიშნავია, რომ „საქართველო — მულტიკულტურული ქვეყანა — აქტუალური სიზმრების“ ფორმატში მზადდება ვიდეოფილმი ზულეიკა ბაყბეუქ-მელიქოვას, თემო ჯაფარიძის, ოლეგ ტიმჩენკოს, სოფიკო ჩერქეზიშვილის, ირა კურმაევას, ერნა დოლმაზოვასა და გარი დაფტიანის თოჯინების მონაწილეობით. ვიდეოფილმის რეჟისორია ქეთი გუჯაბიძე, ოპერატორი გიორგი ბერიძე.

ნინო კეშელავა-ბერძიშვილს „აქტუალური სიზმრები“

ალეკო შარაშიძის ფოტოები